**ხელშეკრულება№101**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. ცაგერი 02 მაისი 2023 წელი

ერთის მხრივ, **ცაგერის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის მ/შ ალუდა თუთისანის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ „ზაალი ყურაშვილი" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი ზაალი ყურაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანია

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის (კლასიფიკატორის კოდი 34300000); სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ ს' „ ქვეპუნქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.**

*2.შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტია **ცაგერის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ა/მანქანებისათვის** (NISSAN XTERRA (სახ. ნომერი QQ737UU); ა/მ უაზ 31519 (სახ. ნომერი NN523NV); ჰიუნდაი ტუქსონი (სახ.ნომერი VO490QV); ნივა 2121 (სახ. ნომერი RR314RG);) **სათადარიგო ნაწილების შესყიდვა.** (თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად)

*3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება **ლარებში.**

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **3490 (სამიათასოთხასოთხმოცდაათი)** ლარს.

*4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

*5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2023 წლის 07 მაისის ჩათვლით.**

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **ქ. ცაგერი.რუსთაველის ქ.N58**

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასქონლო ზედნადები).

*6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

*7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო ანგარიშსწორებით წინასწარი გადახით.**

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება **ეროვნულ ვალუტაში.**

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში

*8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს **2023 წლის 07 მაისის ჩათვლით.**

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### *9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

### *10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2023 წლის 07 ივნისის ჩათვლით.**

### *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - თეიმურაზ ლეთოდიანი; ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების შტატგარეშე მოსამსახურე - ჯემალი ახვლედიანი;**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*15. სხვა პირობები*

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

*16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| ცაგერის მუნიციპალიტეტი | ი/მ „ზაალი ყურაშვილი“ |
| ქ. ცაგერი რუსთაველის ქუჩა №58 | ქ.ცაგერი. კოსტავას ქ.N39 ; ტ:551159840 |
| სახელმწიფო ხაზინა | ს/ს „ლიბერთი ბანკი“ |
| ბ.კ.TRESGE22 | ბ/კოდი: LBRTGE22 |
| ხაზინის ერთიანი ანგარიში | ა/ა№ GE19LB0112192547254000 |
| ს/კოდი: 242 574 460 | ს/კოდი: 49001005139 |

*17. მხარეთა ხელმოწერები*

| | |
|---|---|
| ცაგერის მუნიციპალიტეტის<br>მერის მ/შ: | ი/მ „ზაალი ყურაშვილი“ |
| ალუდა თუთისანი | ზაალი ყურაშვილი |
| --- | --- |

Zaali Kurashvili

Digitally signed by Zaali Kurashvili
Date: 2023.05.02 17:03:03 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

ჰიუნდაი ტუქსონი 2009 წლის ბენზინი 2,0 ძრავი

| № | დასახელება | განზ. ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | უკანა ცაპკის საკისარი | ცალი | 2 | 150 | 300 |
| 2 | ყუმბარა მარჯვენა | ცალი | 1 | 370 | 370 |
| 3 | ყუმბარა მარცხენა | ცალი | 1 | 380 | 380 |
| 4 | ყუმბარის რეზინები | ცალი | 4 | 30 | 120 |
| 5 | სვეჩები | ცალი | 4 | 25 | 100 |
| 6 | რადიატორის შლანგი | ცალი | 1 | 15 | 15 |
| | სულ | | | | **1285** |

დანართი N1

ფასების ცხრილი

ა/მ უაზ 31519 (სახ. ნომერი NN523NV)

| № | დასახელება | განზ. ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კრესტავინა | ცალი | 2 | 30 | 60 |
| 2 | ნაკანეჩნიკი | ცალი | 2 | 30 | 60 |
| 3 | მეორადი კარობკა | ცალი | 1 | 400 | 400 |
| 4 | ტორმუზის ბაჩოკი | ცალი | 1 | 100 | 100 |
| 5 | რადიატორი | ცალი | 1 | 70 | 70 |
| 6 | ტრამლიორის კონტაქტები | ცალი | 2 | 25 | 50 |
| | სულ | | | | **740** |

დანართი N1

ფასების ცხრილი

ნივა 2121 (სახ. ნომერი RR314RG)

| № | დასახელება | განზ. ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კრესტავინა | ცალი | 4 | 30 | 120 |
| 2 | წინა მიხრუჭების ხუნდები | კომპლექტი | 2 | 30 | 60 |
| 3 | უკანა მუხრუჭების ხუნდები | კომპლექტი | 2 | 45 | 90 |
| 4 | უკანა შუქნიშნის მინა მარჯვენა და მარცხენა | ცალი | 2 | 30 | 60 |
| 5 | რაზვალის ვტულკები | კომპლექტი | 1 | 80 | 80 |
| 6 | შარავოი ზედა | ცალი | 2 | 25 | 50 |
| 7 | შარავოის ქვედა | ცალი | 2 | 25 | 50 |
| 8 | ნაკანეჩნიკები | ცალი | 4 | 30 | 120 |
| 9 | მინის საწმენდი ჯაგრისები | ცალი | 3 | 15 | 45 |
| | სულ | | | | **675** |

დანართი N1

ფასების ცხრილი

NISSAN XTERRA (სახ. ნომერი QQ737UU), ბენზინი

| № | დასახელება | განზ. ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | მთლიანი ფასი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | შარავოი | ცალი | 4 | 60 | 240 |
| 2 | ნაკანჩნიკი | ცალი | 2 | 30 | 60 |
| 3 | ხუნდები წინა | კომპლექტი | 1 | 80 | 80 |
| 4 | ხუნდები უკანა | კომპლექტი | 1 | 70 | 70 |
| 5 | ამორტიზატორები | ცალი | 4 | 70 | 280 |
| 6 | რაზვალის ტულკების რეზინები | ცალი | 2 | 30 | 60 |
| | სულ | | | | **790** |